ხელშეკრულება # 33

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **`24.12.2020 წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ააიპ„სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლოდაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (ქ.ბოლნისი კოსტავას ქ.#8) შემდგომში **„`შემსყიდველი",** მისი წარმოდგენილი დირექტორი **დავით ყიფშიძის** სახით და მეორეს მხრივ შპს "სივრცეები' შემდგომში `მიმწოდებლად" წოდებული მისი წარმოდგენილი დირექტორის მ/შ **ეკა ვეფხვაძე** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები~, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 . გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომში _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები. `ხელშეკრულების ღირებულება~ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის. `დღე~, `კვირა~, `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე. `შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას. `მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში. `მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ელექტრონული საინფორმაციო მომსახურება (CPV კოდი – 64216200) დანართი №1 შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2400 (ორიათასოთხასი ლარი) ერთი თვის
3.2 მომსახურების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ

გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
ბ) უზრუნველყოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალის დაარქივება ბაზაში, რომლის ნახვაც ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი;
გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. ინსპექტირებას განახორციელებს სპორტ-კომპლექსის შესყიდვების კოორდინატორი პეტრე ხუციშვილი .
5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და

შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში წუნდებული მომსახურების ღირებულების უკან დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე. მომსახურების მიღებას აწარმოებს შესყიდვების კოორდინატორი პეტრე ხუციშვილი.

7. ანგარიშსწორება

7,1ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული
7,2მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7,3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.
ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ასეთ დღეზე

ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. ფორს-მაჟორი

წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ელექტრონულად ორი თანაბარი ქართულ ენაზე, აქედან ერთი .

მხარეთა რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი''

ააიპ,,სკოლის გარეშე სასპორტო საგანმანათლებლო
დაწესებულება ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი
კომპლექსი ს/კ 225394702
ბანკის კოდი TRESG22
ა/ნ ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახაზინო კოდი 748517501
დირექტორი: დ.ყიფშიძე

Davit Kipshidze
Digitally signed by Davit Kipshidze
Date: 2020.12.24 13:55:24 +04'00'

,,მიმწოდებელი"

შპს,,სივრცეები"
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ., N15,ბ,3
ს/კ 405338692
სს თიბისი ბანკი
TBCBGE22
GE89TB7320836080100009
დირექტორის მ/შ : ე.ვეფხვაძე

დანართი#1

საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი „სივრცეები“ (spnews.io; spn.ge) წარმოადგენს მულტიმედიურ პლატფორმას, რომელიც ვრცელდება Facebook-ისა და Telegram-ის საშუალებით.

200 ლარიანი შეთავაზება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. რელიზების განთავსება - განუსაზღვრელი რაოდენობით (სივრცეების ვებ-გვერდზე);
2. ანონსები - განუსაზღვრელი რაოდენობით;
3. თვეში 2 ინტერვიუ/სტატიის მომზადება - განთავსება ყველა პლატფორმაზე.